

BMJ Best Practice

სოკოვანი მენინგიტი

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Nov 10, 2022

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	5
პათოფიზიოლოგია	6
კლასიფიკაცია	7
შემთხვევის ანამნეზი	7
დიაგნოზი	9
მიდგომა	9
ანამნეზი და გასინჯვა	13
რისკფაქტორები	14
კვლევები	17
დიფერენციული დიაგნოზები	21
მართვა	23
მიდგომა	23
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	27
მკურნალობის ალგორითმი	29
პირველადი პრევენცია	43
განხილვები პაციენტთან	44
მეთვალყურეობა	45
მონიტორინგი	45
გართულებები	46
პროგნოზი	47
გაიდლაინები	49
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	49
მკურნალობის გაიდლაინები	50
წყაროები	51
სურათები	64
განმარტება	65

შეჯამება

ტიპურად ვლინდება, როგორც პროგრესირებადი, სიცოცხლისათვის საშიში, ქრონიკული ან ქვემწვავე მენინგიტი.

ყველაზე ხშირად ვითარდება იმუნოსუპრესიულ პირებში და ხშირად თან ახლავს სისტემური გამოვლინებები.

თავზურგტვინის სითხეში ტიპურად აღინიშნება ლიმფოციტური პლეოციტოზი, ცილის მატება და გლუკოზის დაქვეითება.

სოკოვანი მენინგიტის ყველაზე ხშირი ტიპი გამოწვეულია *Cryptococcus neoformans*-ით.

სოკოს საწინააღმდეგო მკურნალობის წარმართვისათვის აუცილებელია ეტიოლოგიური აგენტის სწრაფი დიაგნოსტიკა.

გართულებები: გულყრები, ინსულტი, ჰიდროცეფალია და თბტ სითხის წნევის მატება ჰიდროცეფალიის გარეშე.

განსაზღვრება

მენინგიტი არის თავის ტვინის რბილი გარსების ანთებითი დაავადება. ყველა ძირითად სოკოვან პათოგენს აქვს მენინგიტის გამოწვევის უნარი. სოკოვანი მენინგიტის სიხშირე მსოფლიოში იზრდება ფარმაკოლოგიური აგენტებით იმუნოსუპრესირებული პაციენტების მზარდი რაოდენობის გამო და აივ-თან ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის მუდმივი ტვირთის გამო რესურსებით შეზღუდულ ქვეყნებში.^[1] კრიპტოკოკული, ჰისტოპლაზმური, კოქციდიოიდური, კანდიდოზი, *Exserohilum rostratum*, *Aspergillus* და მუკორში კოზური მენინგიტი განხილული იქნება ამ თემაში.^{[2] [3] [4] [5] [6] [7]}

ეპიდემიოლოგია

მრავალი ოპორტუნიტული სოკოვანი პათოგენი, როგორიცაა კანდიდა და *Cryptococcus neoformans*, იწვევს დაავადებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შედარებლად, ენდემური მიკოზების დროს, როგორიცაა ჰისტოპლაზმოზი და კოქციდიოიდომიკოზი, და ნაკლები სიხშირით *Cryptococcus gattii*, დაავადება მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონებში გვხვდება.[8] [9] [10] [11] [12] [13] *C. neoformans* ფენოტიპურად არაერთგვაროვანი პათოგენია და ადამიანის ინფექციის დროს გენეტიკური წარმომავლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ვირულენტობაში.[14]

კრიპტოკოკული მენინგიტი

1980-იან წლებში *C. neoformans* მნიშვნელოვან ოპორტუნიტულ ინფექციას წარმოადგენდა აშშ-ში, ევროპასა და ავსტრალიაში, ის ვლინდებოდა შიდსის მქონე პაციენტების 5-10%-ში.[15] 1990-იანი წლების შემდეგ, აშშ-ში აღრეული და ეფექტური ანტირეტროვირუსული თერაპიის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა აივ-ასოცირებული კრიპტოკოკოზის სიხშირე. ატლანტაში შემცირდა შიდსის მქონე პაციენტების ყოველწლიური ინციდენტობა - 1992 წელს იყო 66 ყოველ 10000-ზე, ხოლო 2000 წელს კი - 7 ყოველ 1000-ზე.[16]

განვითარებად ქვეყნებში კრიპტოკოკოზი შიდსის მქონე პაციენტების ავადობისა და სიკვდილობის ძირითად მიზეზად რჩება.[17] [18] [1] აივ-თან ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის მქონე პაციენტების ერთ კვლევაში (ტაილანდში, უგანდაში, მალავიში და სამხრეთ აფრიკაში), სიკვდილობა აღმოჩნდა 17% ორი კვირის თავზე და 34% ათი კვირის თავზე.[19] სიკვდილის რისკი დაკავშირებული იყო შემდეგ ფაქტორებთან: სხეულის დაბალი წონა, ხანდაზმული ასაკი, ანემია (ჰემოგლობინი <75 გ/ლ [<7.5 გ/დლ]), პერიფერული ლეიკოციტოზი, სოკოვანი აგენტების დიდი რაოდენობა და მენტალური სტატუსის დარღვევა.[19]

აივ-ასოცირებული კრიპტოკოკული მენინგიტი მნიშვნელოვნად ხშირია სუბსაჰარულ აფრიკაში და გამოიყენება აივ მკურნალობის პროგრამების წარუმატებლობის გასაზომად;[1] 2014 წელს კრიპტოკოკური მენინგიტის ყველა შემთხვევის დაახლოებით 73% დაფიქსირდა სუბსაჰარის აფრიკაში.[1] ტუბერკულოზისა და კრიპტოკოკოზის ორმაგი მენინგიტის გამომწვევი თანაინფექცია დაფიქსირდა ჩინეთში და აღვილად შესაძლებელია მისი გამოტოვება ან არასწორი დიაგნოზის დადგენა.[20]

ორგანოთა ტრანსპლანტაცია და კიბოს და სხვა სისტემური დაავადებების იმუნოსუპრესიული თერაპიის განვითარებამ ხელი შეუწყო სოკოვანი მენინგიტის ინციდენტობის ზრდას. ინვაზიური სოკოვანი ინფექციების დაახლოებით 8% მყარი ორგანოების გადანერგვის მიმღებებში კრიპტოკოკოზითაა გამოწვეული.[21] სოკოვანი მენინგიტი იწვევს გართულებებს 10%-მდე კიბოთი დაავადებულ პაციენტში, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება არ განუვითარდეთ მენინგიტის ტიპური სიმპტომები.[22] კრიპტოკოკოზის რისკი უფრო მაღალია ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების, ვიდრე მყარი სიმსივნეების დროს.[23]

1999 წლიდან 2004 წლამდე *C. gattii* ინფექციის 100-ზე მეტი შემთხვევის ეპიდემიოქეზება მოხდა ვანკუვერის კუნძულზე, კანადაში, ძირითადად იმუნოკომპეტენტურ ადამიანებში.[24] [25]

ჰისტოპლაზმური მენინგიტი

ჰისტოპლაზმოზი ენდემურია ოჰაიოსა და მისისიპის ველზე აშშ-ში. თუმცა, ასევე ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ევროპის რეგიონში.[8] ენდემური რეგიონის დასადგენად ჩატარებული კვლევებით, რომლის დროსაც უარყოფითი მანტუს სინჯის მქონე ინდივიდებში ჰისტოპლაზმინის კანის ტესტებს იყენებდნენ, დადგინდა, რომ ოჰაიოს და მისისიპის მდინარეების მოსაზღვრე შტატებში ახალგაზრდების 80%-ზე მეტი წარსულში დაინფიცირებული იყო.[26] *H. capsulatum*-ზე ჯანმრთელი ადამიანების დაბალი ინტენსივობის ექსპოზიცია მეტწილად უსიმპტომოა. ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება კლინიკურად ვლინდება პროგრესირებადი დისემინირებული ჰისტოპლაზმოზის 5-10%-ში, აღნიშნულის რისკ-ფაქტორია აივ ინფექცია.[27]

კოქსიდიოიდური მენინგიტი

კოქსიდიოიდომაკოზი გვხვდება მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროში, უპირატესად აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთსა და მექსიკის ჩრდილო-დასავლეთში.[10] [28] [29] აშშ-ში ყოველწლიურად ვლინდება კოქსიდიოიდომაკოზის საშუალოდ 100 000-დან 150 000-მდე შემთხვევა. პირველადი დაავადების ინციდენტობა და შემდგომი დისემინაცია განაგრძობს მატებას, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია პოპულაციის, მიგრაციისა და იმუნოკომპრომისული პირების რიცხვის მატებით.[30] [31] [32] აღრეული, ძლიერი ანტირეტროვირუსული თერაპია ამცირებს აივ-ასოცირებული კოქსიდიოიდომაკოზის ინციდენტობას.[33] [34]

კანდიდური მენინგიტი:

ყველა სახის ინვაზიური კანდიდოზის პრევალენტობა მატულობს. დღენაკლულ და 1 თვემდე ასაკის ჩვილებში მენინგიტის შედარებით ხშირი მიზეზია კანდიდური მენინგიტი.[35] [36] აშშ-ში ჩატარებული 10 წლიანი რეტროსპექტული კვლევის მიხედვით, კანდიდური მენინგიტი ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ჰოსპიტალიზაციის მიზეზებს შორის 0,4%-ს შეადგენდა.[37] ზრდასრულებში კანდიდოზი იშვიათად ასოცირდება მენინგიტთან, აუტოფსიით მენინგიტალური დაზიანება ნახში იქნა დისემინირებული კანდიდოზის 15%-ზე ნაკლებ შემთხვევაში.[38] [39] კანდიდური მენინგიტი ყველაზე ხშირი სოკოვანი მენინგიტია, რომელიც ვითარდება ცნს შუნტის ან ვენტრიკულოსტომის ჩადგმის შემდეგ.[40] [41] დაავადების სიხშირე ყველაზე მაღალია 1 წლამდე ჩვილებში. ცენტრალური ნერვული სისტემის კანდიდოზი, რომელიც ნეიროქირურგიულ ჩარევას უკავშირდება, უფრო ხშირია,[42] სავარაუდოდ პროცედურებამდე პროფილაქტიკური ანტიბიოტიკების გამოწერის გამო.

Exserohilum rostratum მენინგიტი

2012 წელს აშშ-ში გამოვლინდა სოკოვანი ინფექციების და ფატალური სოკოვანი მენინგიტის ეპიდემიოტემა, რომელიც Exserohilum rostratum-ით დაბინძურებული ფარმაცევტული პროდუქტის (მეთილპრედნიზოლონის ფლაკონები) თერაპიული გამოყენებით იყო გამოწვეული.[43] ეს შემთხვევა გამოკვლეული იყო დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრების და ადგილობრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტების მიერ. მიაკვლიეს პირველად სოკოვან პათოგენს, E. rostratum-ს, რომელიც იზოლირდა პაციენტის ნიმუშებიდან, ხოლო პირველწყაროს წარმოდგენდა დაბინძურებული მეთილპრედნიზოლონ აცეტატის სამი პარტია, რომელსაც აწარმოებდა ერთ-ერთი აფთიაქი. სულ 753 შემთხვევა დაფიქსირდა 20 შტატში, 64 დაიღუპა.[44]

ასპერგილუსი და მუკორმიკოზური მენინგიტი

ასპერგილუსური მენინგიტი იშვიათია და უფრო ხშირად აღინიშნება იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში.[45] მუკორმიკოზური მენინგიტი იშვიათად გვხვდება, როგორც რინოცერებრალური მუკორმიკოზის გამოვლინება.[46]

ეთიოლოგია

Cryptococcus neoformans და Cryptococcus gattii გარემოს საპროფიტებია, რომელიც კლინიკურ სინჯებში გაკვირვებული საფუარი სოკოს სახით გვხვდება.[47] C. neoformans მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მისი გამოყოფა შეიძლება ჩიტების, განსაკუთრებით მტრედების, გამონაყოფით დაბინძურებული ნიადაგიდან. C. neoformans (სეროტიპი A და D) ინფექციას, ჩვეულებრივ, იმუნოკომპრომისულ ინდივიდებში იწვევს. ხოლო C. gattii (სეროტიპი B და C), ინფექციას უპირატესად იწვევს იმუნოკომპეტენტურ ინდივიდებში. ის პირველად აღმოჩენილი იქნა ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში, განსაკუთრებით ავსტრალიასა და პაპუა ახალ გვინეაში. C. gattii დაკავშირებულია ევკალიპტის ხეების რამდენიმე სახეობასთან.

Histoplasma capsulatum თერმულად დიმორფული სოკოა, რომელიც გარემოში არსებობს ობის სოკოს სახით, ხოლო კლინიკურ ნიმუშებში მცირე ზომის უჯრედშიდა საფუარი სოკოს სახით.[8] *H. capsulatum* აბინძურებს ნიადაგს, მისი იზოლირება შეიძლება შინაური ფრინველების ექსკრეტებით დაბინძურებული ადგილებიდან, გამოქვაბულებიდან, სადაც ღამურები ბინადრობენ, ასევე ფრინველის ქანდარებიდან.

Coccidioides-ის სახეობებიც ასევე თერმულად დიმორფული სოკოებია.[28] [29] *Coccidioides immitis* და *coccidioides posadii* კლინიკურად იდენტურ დაავადებას იწვევენ. ნახევრად უდაბნოს ენდემური რეგიონის ნიადაგში დატბორული მიცელიუმის ძაფები დასაბამს აძლევს სქელკედლიან აეროგენულ ართროკონიდიას. ვითარდება მასპინძელ ორგანიზმში, გარდაიქმნება მრავალბირთვიან სფერულებად, რომლებიც მომნიფდება და სკდება, გამოყოფს ენდოსპორებს და, დასაბამს აძლევს ახალ სფერულებს.

კანდიდას სახეობები ადამიანის ნორმალური ფლორის ნაწილია. დაავადებას იწვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფექციის საწინააღმდეგო კანის ან ლორწოვანი გარსის ბარიერები და/ან დამცავი იმუნური პასუხი დაზიანებულია. *Candida albicans* დღესდღეობით კანდიდური მენინგიტის ყველაზე ხშირი აღიარებული მიზეზია, თუმცა სხვა არა- *albicans* კანდიდებიც უფრო და უფრო ხშირად იწვევენ ნეიროკანდიდოზს.[48] [49] [50]

ასპერგილური მენინგიტი იშვიათია. პარანაზალური სინუსების ინვაზიურმა ასპერგილურმა დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს კრანიალური პაქიმენინგიტი. მენინგიტისა და სპინალური არაქნოიდიტის იშვიათი შემთხვევები შეიძლება განვითარდეს კორტიკოსტეროიდის ეპიდურული ინექციის ან სპინალური ანესთეზიის შემდეგად განვითარებული დისციტის შემდეგ, როგორც იატროგენული გართულება იმუნოკომპეტენტურ სუბიექტებში.[51] [52] მწვავე და ქრონიკული მენინგიტი ისევე როგორც მენინგოენცეფალიტი აღწერილია კლინიკური შემთხვევების კვლევებში, რომელთაგანაც თითქმის ნახევარში არ იყო გამოხატული იმუნოსუპრესიის ნათელი მიზეზი.[45]

მუკორმიკოზი (ზიგომიკოზი) აგრესიული ლეტალური მიკოზია, რომელმაც შეიძლება გაართულოს სინუსის ინფექცია იმუნოსუპრესიულ პაციენტებში, გამოიწვიოს ლოკალური ანგიოინვაზია, ქსოვილების ნეკროზი და გავრცელება თვალბუდის, კავერნული სინუსის და თავის ტვინისკენ; ქრონიკული მენინგიტი იშვიათად ვლინდება ფოკალური ინტრაცერებრული მუკორმიკოზით.[46]

პათოფიზიოლოგია

კანდიდას გარდა, მრავალი სხვა სოკოვანი პათოგენები ინჰალაციით ვრცელდება. ფართოდ დისემინირებულ ინფექციასთან დაკავშირებული ან ცალკეული მენინგიალური დაზიანება ვითარდება ფილტვებიდან ჰემატოგენური დისემინაციის შედეგად. აღნიშნული შეიძლება განვითარდეს პირველადი ინფექციის ან კონტროლირებული ფარული ინფექციის პერიოდის შემდეგ, როდესაც მასპინძლის იმუნიტეტი დაქვეითებულია. *Cryptococcus neoformans*-სა და ენდემური მიკოზების საწინააღმდეგოდ განვითარებული დამცავი საპასუხო რეაქცია მოიცავს აქტიურ გრანულომატოზურ ანთებას და დამოკიდებულია უჯრედული იმუნიტეტის ნორმალურ ფუნქციონირებაზე CD4 და CD8 T უჯრედების ჩათვლით (Th1 ტიპის ციტოკინების გამოყოფა).[53]

კრიპტოკოკური ინფექცია სავარაუდოდ ვითარდება პატარა საფუარი სოკოს ან ბაზილიოსპორების ინჰალაციის შედეგად. პირველადი პულმონური ინფექცია ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ლატენტური ინფექციის რეაქტივაცია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის დროს.[54] ორგანიზმს თავის ტვინის დისემინაციისკენ განსაკუთრებული მიდრეკილება აღენიშნება. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს თავის ტვინში L-დოფადან, კრიპტოკოკურ ფერმენტ ლაკაზას საშუალებით დიდი რაოდენობის მელანინის პროდუქციასთან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ფაგოციტების ოქსიდაციური კვლის უნარს.[55]

ჰისტოპლამოზის დროს ჰემატოგენური გავრცელება შეიძლება განვითარდეს რეტიკულოენდოთელური სისტემის ინფიცირებული მაკროფაგების მეშვეობით. ჰისტოპლამოზის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა პაციენტებში, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არ დაბრუნებულან ენდემურ კერაში. აღნიშნული ხაზს უსვამს ფარული ინფექციის რეაქტივაციის მნიშვნელობას. ენდემურ კერებში რეაქტივაციის როლი უცნობია, უფრო ხშირია პროგრესირებადი პირველადი ინფექცია.[56]

კოქსიდიოიდური მენინგიტი ვითარდება დისემინირებული დაავადების მქონე პირთა დაახლოებით ნახევარში. თავდაპირველი ინფექციის შემდეგ სოკოვანი აგენტის თავის ტვინში გავრცელებას, როდესაც ეს ხდება, სჭირდება კვირებიდან თვეებამდე. მაღალი რისკის პოპულაციაში დისემინაციის სიხშირე შეიძლება აღემატებოდეს 15%-ს.[11]

კანდიდური მენინგიტი შეიძლება განვითარდეს როგორც კანდიდიემიის გართულება, განსაკუთრებით ახალშობილებსა და დღენაკულ ჩვილებში. ის ასევე ასოცირდება თავის ტრავმასა და ნეიროქირურგიულ პროცედურებთან. კრიპტოკოკოზის და ენდემური მიკოზებისგან განსხვავებით ზრდასრულებში ინვაზიური კანდიდოზის მაღალი რისკ-ფაქტორია ნეიტროპენია.[53]

კლასიფიკაცია

პირველადი და მეორადი სოკოვანი პათოგენები

არ არსებობს სოკოვანი მენინგიტის ოფიციალური კლასიფიკაცია.

სოკოვანი მენინგიტის კლასიფიკაცია ძირითადად ეტიოლოგიური ფაქტორის მიხედვით ხდება. მენინგიტის გამომწვევი სოკოვანი აგენტები კლასიფიცირდება პირველად და მეორად პათოგენებად, თუმცა ეს განსხვავება არ არის მკვეთრი. კრიპტოკოკური მენინგიტი სოკოვანი მენინგიტის ყველაზე ხშირი ფორმაა.

პირველად პათოგენებს აქვთ უნარი დაავადება გამოიწვიონ იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში, თუმცა უფრო ხშირად დაავადებას იწვევენ იმუნოსუპრესიულ ინდივიდებში.

პირველადი პათოგენებია:

- *Cryptococcus neoformans*
- *Coccidioides immitis*
- *Histoplasma capsulatum*.

მეორადი ან ოპორტუნიტული პათოგენები, რომლებიც ვლინდება აშკარა იმუნური დისფუნქციის ან ანატომიური ანომალიების პირობებში:

- კანდიდა
- ასპერგილოზი
- სხვა ობის სოკოები (მაგ., ფუზარიუმი).

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

35 წლის მამაკაცს აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე რეგიონიდან, აღენიშნება თავის ტკივილის და ცხელების 3 კვირიანი ანამნეზი. გამოკითხვისას, გამოვლინდა ხანგამოშვებითი დიარეა და წონის კლება - 10 კგ ბოლო წლის განმავლობაში. პაციენტის გლაზგოს კომის შკალის ქულა 15-ია, ჰემოდინამიკურად

სტაბილურია, გასინჯვით ვლინდება შემდეგი ცვლილებები: ცხელება $38,5^{\circ}\text{C}$ ($100,4^{\circ}\text{F}$) და პირის ღრუს კანდიდოზი.

შემთხვევის ანამნეზი #2

25 წლის ქალს აღენიშნება მზარდი თავის ტკივილი, კონფუზია, გულისრევა, ღებინება 3-4 კვირის და დიპლოპია 1 კვირის განმავლობაში. გასინჯვისას ის ძილიანია, მაგრამ თანამშრომლობს სამედიცინო გასინჯვის პროცესში. ნევროლოგიური გასინჯვით მას აღენიშნება მე-6 კრანიალური ნერვის დამბლა, მხედველობის სიმახვილის დაქვეითება და მხედველობის ნერვის დისკოს შეშუპება. გასინჯვით სხვა ცვლილებები არ ვლინდება.

სხვა გამოვლინებები

სოკოვანი მენინგიტის მქონე პაციენტებს ასევე შეიძლება გამოუვლინდეთ პიროვნული ცვლილებები, ძილიანობა, გულყრები, გულისრევა / ღებინება, სმენის დაქვეითება და ცხელება, მნიშვნელოვანი თავის ტკივილის გარეშე. კერძოდ, კრიპტოკოკური მენინგიტის მქონე პაციენტებში შეიძლება გამოვლინდეს ქალასშიდა წნევის მომატების ნიშნები და სიმპტომები, როგორიცაა ძლიერი თავის ტკივილი, გულისრევა ან ღებინება, მხედველობის დაკარგვა, და მენტალური სტატუსის დარღვევა. დიაგნოსტირებული კოქცდიოიდური მენინგიტის მქონე პაციენტებში ხშირად ვლინდება ჰიდროცეფალიის ნიშნები და სიმპტომები როგორც დაავადების დასაწყისში, ასევე გვიანი გართულების სახით.

მიდგომა

დიაგნოსტიკა მოიცავს სიმპტომების, ნიშნების და გამოკვლევის შედეგების შეჯერებას. ხშირად საბოლოო დიაგნოზამდე საჭირო ხდება ემპირიული მკურნალობის დაწყება.

მთავარი ტესტებია თავის ტვინის რადიოლოგიური კვლევა, თავზურგტვინის სითხის ანალიზი და სისხლის კულტურა. თუ თბი სითხის, სისხლის და შარდის განმეორებითი კვლევის შედეგები არადამაჯერებელია, შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს ჰისტოპათოლოგიური კვლევა სოკოვან და თავის ტვინის, ტვინის გარსების და ცისტერნის ან პარაკუტის სითხის კულტურა.[27]

კლინიკური ანამნეზი

კრიპტოკოკული მენინგიტი

- შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით; კლინიკური ნიშნები არასპეციფიკურია
- კრიპტოკოკოზის ყველაზე ხშირი გამოვლინებაა მენინგოენცეფალიტი
- აივ-ინფიცირებული პირები და ორგანოს ტრანსპლანტანტის რეციპიენტები მაღალი რისკის ჯგუფში არიან, მაგრამ დაავადება შეიძლება განვითარდეს იმუნოკომპეტენტურ ზრდასრულებსა და ბავშვებშიც
- ტიპურად ვლინდება პროგრესული თავის ტკივილით (70-90%) და ცხელებით (50-90%), რომელიც რამდენიმე კვირა გრძელდება;[57] [59]
- სიმპტომები შეიძლება პროგრესირდეს და გამოიხატოს გულისრევა, ღებინება, ქცევის ცვლილება, ძილიანობა და გულყრები
- დიპლოპია და შემდგომში მხედველობის სიმახვილის შემცირება მიუთითებს ქალასშიდა წნევის მატებაზე
- ხველა და ქოშინი არ არის იშვიათი და შეიძლება მიუთითებდეს ფილტვის დაზიანებაზე
- სიმპტომების პროგრესიის ხარისხი შეიძლება დამოკიდებული იყოს მასპინძლის იმუნიტეტზე, ასე, რომ პაციენტებში, მძიმე იმუნოდეფიციტური დაავადების გარეშე, ინფექციის მიმდინარეობა უფრო ქრონიკულია.
- დაავადების ინციდენტობა და სიკვდილობა განსაკუთრებით მაღალია, ანტირეტროვირუსული თერაპიის შემდეგ განვითარებული იმუნური აღდგენის ანთებითი სინდრომის (IRIS) შემთხვევაში.[73]

ჰისტოპლაზმური მენინგიტი

- მწვავე ან ქრონიკული მენინგიტით გამოწვეული ცხელება, თავის ტკივილი და კისრის კუნთები რიგიდობა;[27]
- თავის და ზურგის ტვინის კეროვანი დაზიანებების და ინსულტის სინდრომებით გამოწვეული ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომები;[27]
- ენცეფალიტის ფონზე განვითარებული ქცევითი და მენტალური სტატუსის ცვლილებები;[27]
- დისემინირებულ ინფექციასთან ასოცირებული ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შემთხვევაში ასევე შეიძლება გამოვლინდეს მაღალი ცხელება, წონის კლება და პირის ღრუს წყლულები.

კოკციდიოიდური მენინგიტი

- თავის ტკივილი, ცხელება, გულისრევა, ღებინება და ქცევის ცვლილებები;[74]
- კოკციდიოიდური მენინგიტის ყველაზე ხშირი გართულებაა ჰიდროცეფალია, რომელიც შეიძლება იყოს დაავადების ნიშანი ან გვიანი გართულება; ჰიდროცეფალიის ნიშნებია:[11]

- თავის ტკივილი, გულსრევა, მხედველობის დაბინდვა ან გაორება, კოორდინაციის ან სიარულის დარღვევა, მესიერების დაკარგვა, კონფუზია, პიროვნული ცვლილებები და შარდის შეუკავებლობა
- ასევე შეიძლება გამოვლინდეს ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომები მცირე და საშუალო ზომის სისხლძარღვთა არტერიტის გამო განვითარებული ცერებრული ინფარქტის შედეგად.

კანდიდური მენინგიტი:

- მოზრდილთა კანდიდური მენინგიტი შეიძლება გამოვლინდეს მწვავე ან ქვემწვავე სიმპტომებით, ცხელებით და თავის ტკივილით, რაც ყველაზე ხშირი სიმპტომებია.[75]
- კანდიდური მენინგიტის მქონე ახალშობილები ხშირ შემთხვევაში დღენაკლულები არიან და დაავადება თავიდან ვლინდება რესპირაციული დისტრესის სიმპტომებით.[35] [36] [37]

მუკომიკოზი

- რინო-ორბიტო-ცერებრული დაავადება, ჩვეულებრივ, ვლინდება სახის ტკივილით, სინუსიტით, თვალის ტკივილით, მხედველობის დაბინდვით და პროფტოზით. დიაბეტიან პაციენტში ნებისმიერი ამ კლინიკური გამოვლინებისას საჭიროა მუკომიკოზზე კვლევა.[46]

კლინიკური ნიშნები

კრიპტოკოკული მენინგიტი

- ნიშნები შეიძლება არ იყოს ან მინიმალურად იყოს გამოხატული.
- მენინგიტში ვლინდება მხოლოდ პაციენტთა 20-დან 50%-ში; დამატებითი ნიშნები შეიძლება იყოს:[57] [59]
- მენტალური სტატუსის დარღვევა, მხედველობის სიმახვილის დაქვეითება, მხედველობის ნერვის დისკოს შეშუპება, კრანიალური ნერვების დამბლა, ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი
- ბავშვებში ძირითადი სიმპტომებია თავის ტკივილი და ცხელება:[76]
- ატიპური ნიშნებია ქვემწვავე დემენცია და მხედველობის დაკარგვა.

ჰისტოპლამზური მენინგიტი

- მენინგიტში და ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები
- დისემინირებული ჰისტოპლამზოზის ნიშნებია სპლენომეგალია, ჰეპატომეგალია და ლიმფადენოპათია
- ჰისტოპლამზოზი ევროპაში ყველაზე ენდემური მიკოზია.[77]

კოკციდიოიდური მენინგიტი

- მენინგიტში (დაახლოებით 50%);[11]
- ჰიდროცეფალის ნიშნები (მენტალური სტატუსის და სიარულის დარღვევა)
- თავის ტვინის ინფარქტთან დაკავშირებული ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები.

კანდიდური მენინგიტი:

- შეიძლება გამოვლინდეს მენინგიტში, თუმცა ის არ არის ხშირი კანდიდური მენინგიტის მქონე ნეიროქირურგიულ პაციენტებში
- პაციენტები, ჩვეულებრივ, უჩივიან მენტალური სტატუსის დარღვევას
- ფოკალური კლინიკური გამოვლინებები, კრანიალური ნერვის დაზიანება, პაპილედემა და გულყრები კანდიდური მენინგიტის იშვიათი გამოვლინებებია


- პაციენტის გასინჯვისას უნდა ვეძებოთ დისემინირებული კანდიდოზის ნიშნები. მაგალითად, ფუნდოსკოპიით შეიძლება გამოვლინდეს ბადურის ინფარზი და ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების რეკომენდაციით დისემინირებული კანდიდოზზე ეჭვის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს მინიმუმ ერთი ოფთალმოლოგიური კვლევა.[71]

მუკორმიკოზი

- მუკორმიკოზული ინფექციის გვიანი სტადიის სპეციფიკური ნიშანია ნეკროზული ქერქები კანზე, სასასა ან ცხვირის ნიჟარებზე.[46]

კვლევები

თავის ტვინის კვლევა კომპიუტერული ტომოგრაფიით ან მაგნიტურ რეზონანსული კვლევით ტარდება სოკოვანი მენინგიტის ყველა სავარაუდო შემთხვევაში.



კრიპტოკოკული მენინგოცეფალიტი. (A) კრანული MRI გვიჩვენებს ნათხემის პიპერინტენსიურობას (ისრები) FLAIR თანმიმდევრობით (სითხით-დასუსტებული ინვერსიის აღდგენა) და (B) მენინგიალური კონტრასტულობის მატებას (ისრები) T1W-MRI-ზე. თავზურგტვინის სითხის (C) ინდური მელნით შეღებვა, (D) სოკოს კულტურა და (E) გრამის წესით შეღებვა დადებითი ჯ. BMJ Case Reports. 2009; doi:10.1136/bcr.06.2008.0093. გამოყენება დებადართულია.

თუ ეჭვია კრიპტოკოკულ მენინგიტზე, რადიოლოგიური კვლევა ყოველთვის უნდა ჩატარდეს ლუმბურ პუნქციამდე.[78] რადიოლოგიური კვლევა შეიძლება იყოს ნორმალური ან გამოვლინდეს,

მაგალითად, ჰიდროცეფალია (ასევე ხშირია კოქციდიოიდური მენინგიტის დროს), სოკოვანი გრანულომა ან ვასკულური გართულებები. კვლევების საგანია, როგორ შეიძლება გამოიყენებოდეს 18F-ფთორდებოქსიგლუკოზით პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია PET/CT სოკოვანი მენინგიტი სადიაგნოსტიკოდ.[79] [80]

ლუმბური პუნქცია ასევე რუტინული გამოკვლევების ნაწილია. თავზურგტვინის სითხეში ისაზღვრება გლუკოზა, ლეიკოციტები დიფერენციული ანალიზით, ცილა, კულტურა, ანტისხეულები/ანტიგენები, შეღებვა ინდური მელნით (კრიპტოკოკი) და გახსნის წნევა. თუმცა, დიდი მოცულობის თავზურგტვინის სითხის განმეორებითი ანალიზი ხშირად საჭიროა არა-აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის, კოქციდიოიდური მენინგიტის, ჰისტოპლაზმოზის, კანდიდოზური მენინგიტის და ასპერგილური მენინგიტის სადიაგნოსტიკოდ. ასპერგილური მენინგიტის დროს დადებითი კულტურა მიიღება შემთხვევათა 1/3-ში, მაგრამ თავზურგტვინის სითხეში გალაქტოზმანანური ანტიგენის ტესტს აქვს უფრო მაღალი მგრძნობელობა.[45] [81] კრიპტოკოკის არაკაფსულირებული ფორმებით გამოწვეული კრიპტოკოკური მენინგიტი იშვიათია, მისი დიაგნოსტიკა თბტ სითხის კულტურის გარეშე რთულია.[82]

ყველა პაციენტთან აღებული უნდა იყოს სისხლის კულტურის სამი ნიმუში; ისინი შეიძლება იყოს დადებითი, როცა ჰისტოპლაზმოზური ან კრიპტოკოკური მენინგიტი დაკავშირებულია დისემინირებულ დაავადებასთან.

სპეციფიკური ტესტებია:

- თბტ სითხის კრიპტოკოკური ანტიგენის ტესტი
- შრატის ანტისხეულის და ანტიგენის ტესტირება ჰისტოპლაზმოზისთვის
- შარდის ანტიგენის ტესტი ჰისტოპლაზმოზისთვის
- კოქციდიოიდოზის იმუნოლიფუზური ტესტები (IgM და IgG) და კომპლემენტის შეზღუდვის ტესტი (IgG): დადებითი შედეგები ადასტურებს კოქციდიოიდური მენინგიტის დიაგნოზს, როდესაც მენინგიტის სხვა მიზეზები გამორიცხულია.[11] არანამკურნალები დისემინირებული დაავადების მქონე პაციენტებში უარყოფითი პასუხი გამოცდილი ლაბორატორიიდან იშვიათია.

არანამკურნალები დისემინირებული დაავადების მქონე პაციენტებში უარყოფითი პასუხი გამოცდილი ლაბორატორიიდან იშვიათია. ცენტრალური ნერვული სისტემის სოკოვანი ინფექციების დიაგნოსტიკის თანამედროვე სტანდარტებია დადებითი კულტურა და შრატის ან თავზურგტვინის სითხის მიკროსკოპული და იმუნოლოგიური კვლევა. თუმცა, სპეციფიკური დიაგნოზი შეიძლება გადავადდეს კულტურის ნელი ზრდის, ანტიგენის გამოვლენის შემთხვევაში ჯვარედინი რეაქციის და ანტისხეულების არაადეკვატური პასუხის გამო.

ხელმისაწვდომია ადრეული მონაცემების მიხედვით უპირატესობა თბტ სითხის პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციას ენიჭება, როგორც დამხმარე სადიაგნოსტიკო საშუალებას.[83] [84] ახალი მონაცემებით ასევე მითითებულია, რომ თავზურგტვინის სითხის (1-3)-ბეტა-D-გლუკანმა შეიძლება ითამაშოს როლი სოკოვანი მენინგიტის დიაგნოზში.[85] 2012 წელს Exserohilum rostratum მენინგიტის ეპიდემიოქების დროს, რომელიც გამოწვეული იყო დაბინძურებული მეთილპრედნიზოლონით, თავზურგტვინის სითხის (1-3)-ბეტა-D-გლუკანის გამოყენებამ ასევე აჩვენა პოტენციური სარგებელი მკურნალობის პასუხის მონიტორინგისას.[86]

ჰისტოპათოლოგიური კვლევა

თუ თბტ სითხის, სისხლის და შარდის განმეორებითი კვლევის შედეგები არაა დამაჯერებელია, შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს ჰისტოპათოლოგიური კვლევა სოკოვან და თავის ტვინის, ტვინის გარსების და ცისტერნის ან პარაკუტის სითხის კულტურა.[27] მენინგიტალურმა ბიოფსიამ ან ინტრაკრანიალური

წარმონაქმნის სტერეოტაქსიურმა ბიოფსიამ შეიძლება საშუალება მოგვცეს მოვასდინით სპეციფიკური გამომწვევის დიაგნოსტიკა ქრონიკული მენინგიტის შესაბამის შემთხვევებში.

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკ-ფაქტორების არსებობა (ხშირი)

- ძირითადი რისკ-ფაქტორებია: იმუნოსუპრესია; დარღვეულ ნიადაგთან, წინილის სკინტლთან ან ღამურის გამოქვაბულთან ექსპოზიცია; ნეიტროპენია; დარღვეული ფაგოციტური ფუნქცია და ნეიროქირურგიული ჩარევა. ჩვილები და ახლშობილები ასევე იმყოფებიან მომატებული რისკის ქვეშ.

პროგრესული თავის ტკივილი (ხშირი)

- ტიპურად ვლინდება თავის ტკივილით, რომელიც პროგრესირებს რამდენიმე კვირის განმავლობაში.

თავის ტკივილის მძიმე ფორმა. (ხშირი)

- სავარაუდოს ხდის ინტრაკრანიალური წნევის მატებას.
- კრიპტოკოკური მენინგიტის დროს ხშირი გამოვლინებაა, ინტრაკრანიალური წნევის მატება სავარაუდოდ ვითარდება არაქნოიდულ გრანულაციებში თავზურგტვინის სითხის რეაბსორბციის დარღვევის გამო.

მენინგიზმი (ხშირი)

- კისრის კუნთების რიგილობა, ფოტოფობია და თავის ტკივილი.

ჰიდროცეფალიის სიმპტომები (კოგნიტური ფუნქციის დარღვევა, კონფუზია, კოორდინაციის და სიარულის დარღვევა და შარდის შეუკავებლობა) (ხშირი)

- ჰიდროცეფალიის კლასიკური ნიშნები.
- ჰიდროცეფალია კოქციდიოიდური მენინგიტის ადრეული ხშირი გამოვლინება და გართულებაა.

ქცევის და პიროვნული ცვლილება (ხშირი)

- მენინგოენცეფალიტის გამო.

მხედველობის სიმახვილის შემცირება და მხედველობის ნერვის დისკოს შეშუპება (ხშირი)

- ინტრაკრანიალური წნევის მომატების ნიშნები.
- სათანადო კლინიკურ კონტექსტში სავარაუდოს ხდის კრიპტოკოკური მენინგიტის არსებობას.

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

გულისრევა ან ლებინება (ხშირი)

- მენინგიტის ადრეული ნიშანი.

ცხელება (ხშირი)

- მენინგიტის ადრეული ნიშანი.

ცნობიერების დონის დაქვეითება (ხშირი)

- ხშირი და ცუდი პროგნოზული მარკერი აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის დროს.[87]

კრანიალური ნერვების დამბლა (ხშირი)

- სოკოვანი მენინგიტი ძირითადად აზიანებს თავის ტვინის ბაზილარულ გარსს და შეიძლება დააზიანოს კრანიალური ნერვები.

გულყრები (იშვიათი)

- თავის ტვინის გარსების ანთებამ შეიძლება გამოიწვიოს გულყრები.

წონაში კლება (იშვიათი)

- დისემინირებული ინფექციის სიმპტომი.

პირის ღრუს წყლულები (იშვიათი)

- დისემინირებული ინფექციის სიმპტომი.

ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები/სიმპტომები (იშვიათი)

- ვითარდება თავის ტვინის ინფარქტის გამო. კოქციდიოიდური ინფექცია იწვევს პატარა და საშუალო ზომის არტერიების ანთებით დაზიანებას.

ლიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია (იშვიათი)

- აღნიშნული ნიშნები შეიძლება გამოვლინდეს ჰისტოპლასმური მენინგიტის მქონე პაციენტებს, როგორც დისემინირებული პროგრესული ჰისტოპლასმომოზის გართულება.

ქოშინი (იშვიათი)

- ხველა და ქოშინი ასოცირებულია ფილტვის კრიპტოკოკურ დაზიანებასთან.
- კანდიდური მენინგიტის მქონე ახალშობილებში გამოვლინდება რესპირაციული დისტრესით.

პაპულური გამობერილი კანის დაზიანებები (იშვიათი)

- ხშირად აღინიშნება კრიპტოკოკური მენინგიტის დროს.

ბადურის დეფექტები (იშვიათი)

- ბადურის ჩართულობა შეიძლება გამოიხატოს ცენტრალური ნერვული სისტემის კანდიდოზის დროს.

ქერქები სასასა და ცხვირში (იშვიათი)

- მუკორმიკოზული ინფექციის გვიანი სტადიის სპეციფიკური ნიშანია ნეკროზული ქერქები კანზე, სასასა ან ცხვირის ნიჟარებზე.

რისკფაქტორები

ძლიერი

HIV ინფექცია

- აივ ინფიცირებულ პაციენტებში CD4+ დამხმარე უჯრედების პროგრესული დაქვეითება დაკავშირებულია კრიპტოკოკური მენინგიტის მომეტებულ რისკთან. კრიპტოკოკებით გამოწვეული მენინგიტის მქონე პაციენტების უმეტესობას აღენიშნება CD4 უჯრედების რაოდენობა <100 უჯრედი/მიკროლიტრზე, როგორც წესი, <50 უჯრედი/მიკროლიტრზე.^[57]

კორტიკოსტეროიდების გამოყენება

- კრიპტოკოკური მენინგიტის განვითარების მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი. სოლიდური-ორგანოს ტრანსპლანტის რეციპიენტებს და შემადგენელი ქსოვილის დაავადებების (მაგ., სარკოიდოზი, ან რეტოკულოენდოთელური ავთვისებიანი მდგომარეობები) მქონე პაციენტებს, რომლებიც იღებენ პრედნიზოლონს დღეში 10-20 მგ-ზე მაღალი დოზით აქვთ კრიპტოკოკური მენინგიტის განვითარების მომატებული რისკი.
- დაფიქსირდა კრიპტოკოკური მენინგიტი იმუნოკომპეტენტურ მოზრდილებში COVID-19-ის კორტიკოსტეროიდებით მკურნალობის შემდეგ.[58]

ფონური ქრონიკული დაავადება (მაგ., ავთვისებიანი მდგომარეობები, ორგანოების უკმარისობა, აუტოიმუნური დაავადება, ორგანოს ტრანსპლანტაცია)

- დადგენილია ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს დაავადების განვითარებას არა-აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის მქონე პაციენტებში კორტიკოსტეროიდების გამოყენების მიუხედავად: ორგანოს გადანერგვა, ორგანოების (ღვიძლი, ფილტვი, თირკმელი) ქრონიკული უკმარისობა, ავთვისებიანი მდგომარეობები, რევმატოლოგიური დაავადებები და სარკოიდოზი.[59] [60] არა-აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის შემთხვევათა დაახლოებით 20%-ში ვერ იქნა ნანახი კრიპტოკოკური მენინგიტის განვითარების ხელშემწყობი ფონური მიზეზი.

დაზიანებულ ნიადაგთან, წინილის სკინტლთან და ღამურების გამოქვაბულთან ექსპოზიცია

- ჰისტოპლამოზი იშვიათად ვითარდება ენდემური რეგიონების გარეთ მცხოვრებ ინდივიდებში. ჰისტოპლამოზით დაინფიცირების რისკ-ფაქტორებია: დაზიანებულ ნიადაგთან, წინილის სკინტლთან და ღამურების გამოქვაბულთან ექსპოზიცია. ძალიან მნიშვნელოვანია ამ რისკ-ფაქტორების დადგენა პაციენტებში, რომელთაც იმოგზაურეს ენდემურ რეგიონებში.

დარღვეული უჭრედული იმუნიტეტი

- პაციენტებში, რომელთაც უვითარდებათ პროგრესული დისემინირებული ჰისტოპლამოზი და კოქსიდიოიდომიკოზი, ხშირად აღინიშნება უჭრედული იმუნიტეტის დარღვევა მეორადად, მაგალითად აივ ინფექცია/შიდსის, ტრანსპლანტაციის, ავთვისებიანი მდგომარეობების, კორტიკოსტეროიდების და სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი ალფას ანტაგონისტების გამოყენების ან თანდაყოლილი T-უჭრედული დეფიციტების გამო.

ფილიზინელები და აფროამერიკელები

- მძიმე დაავადებისა და დისემინაციის რისკი უფრო მაღალია ფილიზინელებსა და აფრიკელ ამერიკელებში.[61] [62] [63] თუმცა, კოქსიდიოიდომიკოზის ჯამური ინციდენტობა მსგავსია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ნეიტროპენია ან ფაგოციტური ფუნქციის დარღვევა

- ნეიტროპენია ინვაზიური კანდიდოზის (კანდიდური მენინგიტის ჩათვლით) ძლიერი რისკ-ფაქტორია. ნეიტროფილების ფუნქციის დარღვევა (მაგ., ქრონიკული გრანულომატოზური დაავადება) ასევე ზრდის ინვაზიური კანდიდოზის რისკს. კანდიდური მენინგიტი შეიძლება განვითარდეს შიდსის მქონე პაციენტებში, მაგრამ, როგორც წესი მხოლოდ მაშინ, როცა სახეგვა დამატებითი რისკ-ფაქტორები, როგორიცაა ნეიტროპენია.[64]

ნეიროქირურგია

- კანდიდური მენინგიტი ყველაზე ხშირი სოკოვანი მენინგიტია, რომელიც ვითარდება ცენტრალური ნერვული სისტემის შუნტის ან ვენტრიკულოსტომის ჩადგმის შემდეგ.[65]

ჩვილები და ახლშობილები

- *Histoplasma capsulatum*-თან ექსპოზირებული ჩვილები იმყოფებიან მძიმე ფორმის, სიცოცხლისთვის საშიში ინფექციის მომატებული რისკის ქვეშ.
- *Candida albicans* დღენაკლულ და 1 თვეზე ნაკლები ასაკის ჩვილებში მენინგიტის შედარებით ხშირი მიზეზია. ზრდასრულებში კანდიდემია ნაკლებად დაკავშირებულია მენინგიტთან.

სუსტი

ჩრდილოეთ ავსტრალიაში, პაპუა ახალ გვინეაში ან კანადაში ვანკუვერის კუნძულზე ცხოვრება ან ვიზიტი

- პაციენტები აშკარა იმუნოსუპრესიით ან მის გარეშე, რომლებიც ცხოვრობენ ან იმყოფებოდნენ გარკვეულ რეგიონებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ავსტრალიასა და პაპუა ახალ გვინეაში და ბოლო პერიოდში ვანკუვერის კუნძულზე, კანადაში შეიძლება იყვნენ *Cryptococcus gattii* -ით ინფიცირების რისკის ქვეშ.[12] [13] [24] [25]

ცენტრალური სისხლძარღვის კათეტერი

- ცენტრალური სისხლძარღვის კათეტერის მქონე პაციენტები იმყოფებიან კანდიდემიის განვითარების გაზრდილი რისკის ქვეშ.

სინონაზალური დაავადება

- ქრონიკული სინუსიტი ან მასტოიდიტი შეიძლება იყოს სოკოვანი მენინგიტის პირველადი წყარო.

ანტიბაქტერიული საშუალებების გამოყენება

- ფართო სპექტრის ანტიმიკრობული საშუალებებით გახანგრძლივებული მკურნალობა ზრდის მძიმე კანდიდური კოლონიზაციის და ინვაზიური ინფექციის რისკს.

ქირურგიულ ჩარევამდე

- კანდიდათი კოლონიზებული ლორწოვანი ზედაპირის ქირურგიული მანიპულაცია (მაგ. ჩარევა გასტროინტესტინურ ტრაქტზე) კანდიდემიის რისკს ზრდის.

პარენტერული კვება


- ინტრავენური პარენტერული კვება ზრდის კანდიდემიის რისკს.

ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება

- ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებლებს აღენიშნებათ ქრონიკული ნეიტროპენიული მენინგიტის რისკი, რომელიც *Candida albicans*-ს უკავშირდება.[66]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
თავის კტ და/ან მრტ სკანირება • შეიძლება გამოვლინდეს მენინგების ჩართვა და გაძლიერება, პარენქიმული დაზიანებები, ჰიდროცეფალია.  თავისუფალი წყლის სიგნალის დათრგუნვის რეჟიმი T1 + კონტრასტი 20 მკმ კაფსულა	ნორმის ფარგლებში ან გამოხატულია კონტრასტით გამოკვეთილი, პარენქიმული დაზიანებები, ჰიდროცეფალია
კრიპტოკოკული მენინგოცეფალიტი. (A) კრანიული MRI გვიჩვენებს ნაოხრის ჰიპერინტენსიურობას (ისრები) FLAIR თანმიმდევრობით (სითხით-დასუსტებული ინვერსიის აღდგენა) და (B) მენინგიალური კონტრასტულობის მატებას (ისრები) T1W-MRI-ზე. თავზურგტვინის სითხის (C) ინდური მელნით შეღებვა, (D) სოკოს კულტურა და (E) გრამის წესით შეღებვა დადებითი ჯ. BMJ Case Reports. 2009; doi:10.1136/bcr.06.2008.0093. გამოყენება დებადართულია. • ნორმალური სკანირება არ გამოორიცხავს სოკოვან მენინგიტს.	
სოკოვანი სისხლის კულტურა (3 ნიმუში) • აღებული უნდა იყოს სისხლის 3 ნიმუში სოკოვან ინფექციაზე ტესტირებისთვის. • შეიძლება დადებითი იყოს, როდესაც კანდიდური, ჰისტოპლაზმური ან კრიპტოკოკური მენინგიტი ასოცირდება დისემინირებულ დაავადებასთან.	დადებითი ან უარყოფითი
შრატის კრიპტოკოკური ანტიგენის ტესტი • რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომიტულ პაციენტში არადიაგნოსტიკური ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტის დროს. • აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტისთვის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა არის დამახასიათებელი. • გამოსაღვია როცა ვერ აიღებთ თავზურგტვინის სითხის ნიმუშს.	დადებითია კრიპტოკოკური მენინგიტის შემთხვევაში

ტესტი	შედეგი
შრატში + შარდში ჰისტოპლამას ანტიგენი - რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტში არადიაგნოსტიკური ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტით, რომელიც ცხოვრობს ან იმყოფებოდა ენდემურ კერაში. - შარდის და შრატის მგრძნობელობა ჰისტოპლამური მენინგიტის სადიაგნოსტიკოდ შესაბამისად შეადგენს 70 და 40%-ს.[27] - ძალიან სპეციფიკურია	პროგრესული დისემინირებული ჰისტოპლამოზის უმეტეს შემთხვევებში დადებითია
იმუნოდიფუზიური ტესტები (IgM და IgG) და კომპლემენტის ფიქსაციის ტესტი (IgG) კოქსიდიოიდმიკოზისთვის - რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტში არადიაგნოსტიკური ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტით, რომელიც ცხოვრობს ან იმყოფებოდა ენდემურ კერაში. - როდესაც მენინგიტის სხვა მიზეზები გამორიცხულია, დადებითი შედეგები ამყარებს კოქსიდიოიდური მენინგიტის დიაგნოზს. არანამკურნალები დისემინირებული დაავადების მქონე პაციენტებში უარყოფითი პასუხი გამოცდილი ლაბორატორიიდან იშვიათია.[11]	ტიპურად დადებითია კოქსიდიოიდური მენინგიტის შემთხვევაში
თავზურგტვინის სითხის გახსნის წნევა ძალიან მალალი გახსნის წნევა, სათანადო კონტექსტში, სავარაუდოს ხდის აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის არსებობას.	მომატებულია
თავზურგტვინის სითხეში სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობა და დიფერენცირება - სოკოვანი მენინგიტის უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება ლიმფოციტური პლეოციტოზი 20-დან 500 უჯრედი/მლ ფარგლებში. - პოლიმორფონუკლეური უჯრედები შეიძლება მომატებული იყოს. ეს დაკავშირებულია კანდიდურ მენინგიტთან და ოპორტუნისტულ ინფექციებთან (<i>Aspergillus</i>, <i>Zygomycetes</i>, <i>Pseudallescheria</i>). - თავზურგტვინის სითხეში ეოზინოფილები იშვიათია, მაგრამ მათი არსებობა სწორ კონტექსტში სავარაუდოს ხდის კოქსიდიოიდური მენინგიტის არსებობას. - თბტ სითხეში თეთრი უჯრედების ნორმალური რაოდენობა ხშირია აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის დროს.	მომატებულია
ცილა თავზურგტვინის სითხეში სოკოვანი მენინგიტის დროს, როგორც წესი, მომატებულია ცილა თავზურგტვინის სითხეში.	მომატებულია
გლუკოზა თავზურგტვინის სითხეში სოკოვანი მენინგიტის დროს, როგორც წესი, შემცირებულია გლუკოზის დონე თავზურგტვინის სითხეში.	დაბალი
თავზურგტვინის სითხის შეღებვა ინდური მელნით - რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტთან ქრონიკული ან ქვემწვავე, არადიაგნოსტიკური ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტის დროს. - მგრძნობელობა აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის დროს დაახლოებით 80%-ია.[57] - ნაკლებად მგრძნობიარეა არა-აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის დროს.	დადებითია კრიპტოკოკური მენინგიტის დროს

ტესტი	შედეგი
თავზურგტვინის სითხის კულტურა • მგრძნობელობის გასაზრდელად საჭიროა თბტ სითხის დიდი მოცულობა (≥ 10 მლ) და შეიძლება საჭირო იყოს გახანგრძლივებული ინკუბაცია (მინიმუმ 2 კვირა). • გაიმეორეთ, თუ თავდაპირველად უარყოფითია, ან სითხის მოცულობა იყო მცირე.	დადებითი ან უარყოფითი
კრიპტოკოკული პოლისაქარიდული ანტიგენი (CrAg) თავზურგტვინის სითხეში • რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტთან ქრონიკული ან ქვემწვავე, არადიაგნოსტირებული ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტის დროს. • მგრძნობელობა მაღალია ვიდრე ინდური მელნის დროს. • ძალიან სპეციფიკურია ტიტრით $\geq 1:8$; მაღალი ტიტრი მიუთითებს ცუდ პროგნოზზე.	დადებითია კრიპტოკოკური მენინგიტის დროს
ჰისტოპლამას ანტიგენი თავზურგტვინის სითხეში • რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტში ქრონიკული ან ქვემწვავე, არადიაგნოსტირებული ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტით, რომელიც ცხოვრობს ან იმყოფებოდა ენდემურ კერაში. • მგრძნობელობა აივ და არა-აივ-ასოცირებულ შემთხვევებში შესაბამისად დაახლოებით 70% და 40%-ია.[27] • ძალიან სპეციფიკურია	დადებითია ჰისტოპლამური მენინგიტის დროს
ჰისტოპლამას ანტისხეულები თავზურგტვინის სითხეში • რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტში არადიაგნოსტირებული ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტით, რომელიც ცხოვრობს ან იმყოფებოდა ენდემურ კერაში. • მგრძნობელობა და სპეციფიკურობა დაახლოებით 80%-ია.[27]	დადებითია ჰისტოპლამური მენინგიტის დროს
კოქციდიოიდური IgG ანტისხეულები თავზურგტვინის სითხეში • რეკომენდებულია ყველა იმუნოკომპრომისულ პაციენტში არადიაგნოსტირებული ან საეჭვო სოკოვანი მენინგიტით, რომელიც ცხოვრობს ან იმყოფებოდა ენდემურ კერაში. • უზრუნველყოფს კონკრეტულ დიაგნოზს კოქციდიოიდური მენინგიტის დროს.	დადებითია კოქციდიოიდური მენინგიტის დროს
თავზურგტვინის სითხეში გალაქტოზმანანური ანტიგენის ტესტი • გალაქტოზმანანის განსაზღვრა თბტ სითხეში დიაგნოსტიკისთვის ეფექტური აღმოცნდა, როდესაც ოპტიკური სიმკვრივის ინდექსის საზღვრები 0.5-დან 2.0-მდე იყო.[81]	დადებითია ასპერგილური მენინგიტის დროს

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
ბიოფსიის ჰისტოპათოლოგიური კვლევა და კულტურა: მენინგიალურ, თავის ტვინის, ექსტრანერული ღიაგარეშის ადგილები • განიხილება, თუ ნაკლებად ინვაზიური ტესტები ნეგატიურია.	დადებითი ორგანიზმზე
პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR) • შეუძლია სოკოს ღმ-ის აღმოჩენა თავზურგტვინის სითხეში და სხვა ბიოლოგიურ სითხეებში.[83] [84] თუმცა, მსგავსი ტესტების გამოყენება არ შეიძლება დიაგნოსტიკის და დაავადების მართვის საკითხების გადასაწყვეტად. უარყოფითი შედეგი არ გამორიცხავს ინფექციას.[88] [89]	შეიძლება დადგინდეს სოკოვანი ღმ

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
18F-ფტორდეოქსიგლუკოზა (FDG) PET/CT • 18F-ფტორდეოქსიგლუკოზის (FDG) პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფია/კომპიუტერულ ტომოგრაფიული სკანირება ავლენს ქსოვილს, რომელსაც აქვს გაძლიერებული გლუკოზის მეტაბოლიზმი. ავთვისებიანი მდგომარეობის შეფასების გარდა, 18F-ფტორდეოქსიგლუკოზის (FDG) პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფია/კომპიუტერულ ტომოგრაფიული სკანირება უკვე გამოიყენება კეროვანი ანთებითი პროცესებისა და ინფექციის დიაგნოსტიკისთვის. • ერთ კვლევაში, 18F-ფტორდეოქსიგლუკოზის (FDG) პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფია/კომპიუტერულ ტომოგრაფიული სკანირება უზრუნველყოფდა ინფორმირებას თერაპიის ხანგრძლივობის კუთხით გადანაცვლებების შესახებ და გამოყოფდა ოპერაციის საჭიროებას ლიმფოიდური/მიელოიდური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებს, რომელთაც ჰქონდათ კომპლექსური ინვაზიური სოკოვანი დაავადება.[80]	გლუკოზის გაძლიერებული მეტაბოლიზმის მქონე ქსოვილის დეტექცია, როგორცაა სოკოვანი ინფექციის კერა
(1-3)-ბეტა-D-გლუკანი თავზურგტვინის სითხეში • შესაძლოა როლი შეასრულოს სოკოვანი მენინგიტის დიაგნოზში.[85] • 2012 წელს Exserohilum rostratum მენინგიტის ეპიდემიოლოგიის დროს, რომელიც გამოწვეული იყო დაბინძურებული მეთილპრენიზოლონით, თავზურგტვინის სითხის (1-3)-ბეტა-D-გლუკანის გამოყენებამ ასევე აჩვენა პოტენციური სარგებელი მკურნალობის პასუხის მონიტორინგისას.[86]	მომატებულია

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ტუბერკულოზური მენინგიტი	- ექსპოზიციის ან ენდემურ კერაში ყოფნის ანამნეზი. - ფილტვის და ნერვული სისტემის გარე დაავადების სიმპტომები და ნიშნები.	- თავზურგტვინის სითხის (CSF) ნაცხი და კულტურა და ნუკლეინის მჟავის ამპლიფიკაციის ტესტები (NAAT). - სწრაფი ნუკლეინის მჟავის ამპლიფიკაციის ტესტები (Xpert MTB/RIF და Xpert Ultra) რეკომენდებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, როგორც სანაწიის დიაგნოსტიკური ტესტები მოზრდილებში და ბავშვებში, რომელთაც აღენიშნებათ ფილტვგარე ტუბერკულოზის ნიშნები და სიმპტომები.[90] - თავზურგტვინის სითხეში დაფიქსირებული მგრძნობელობის მაჩვენებელი შეადგენდა 89.4%-ს.[91] - თავზურგტვინი სითხის მჟავაგამძლე ბაცილების ნაცხს აქვს ცუდი მგრძნობელობა უმეტეს პირობებში.[92] - მაქსიმალური სენსიტიურობისთვის კულტურალური კვლევა მასალის დიდ მოცულობას საჭიროებს.
ბაქტერიული მენინგიტი	- ანამნეზში აღინიშნება შესაბამისი ექსპოზიცია. - შეიძლება რთული სადიფერენციაციო იყოს, როდესაც გამოხატულია შემდეგი კლინიკური ნიშნები და სიმპტომები: მენინგიზმი, თავის ტკივილი, მიაღვია და ფარინგიტი.	- სისხლიდან ბაქტერიული ღნმ-ის პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციით გამრავლება უფრო მგრძნობიარე და სპეციფიკურია, ვიდრე ტრადიციული მიკრობიოლოგიური ტექნიკა. შეიძლება დაეხმაროს დიაგნოზს პაციენტებში, რომლებმაც უკვე მიიღეს ანტიბიოტიკები. - სპეციფიკური სეროლოგია (<i>Borrelia burgdorferi</i>, <i>Brucella</i>, <i>Leptospira</i>, <i>Treponema pallidum</i>). - კულტურა (<i>Actinomyces</i>, <i>Nocardia</i>, <i>Brucella</i>).

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ვირუსული მენინგიტი	• ანამნეზში აღინიშნება შესაბამისი ექსპოზიცია. • შეიძლება რთული სადიფერენციაციო იყოს, როდესაც გამოხატულია შემდეგი კლინიკური ნიშნები და სიმპტომები: მენინგიზმი, თავის ტკივილი, მიალგია და ფარინგიტი.	• სეროლოგია შემდეგ ვირუსებზე: მარტივი ჰერპეს ვირუსი, ვარიცელა-ზოსტერის ვირუსი და სხვა ვირუსები; თავზურგტვინის სითხის ვირუსული კულტურა; პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია ენტეროვირუსებსა და ჰერპეს ვირუსებზე.
არაინფექციური ლიმფოციტური მენინგიტი	• ანამნეზი, სიმპტომები, აუტოიმუნური დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, სარკოიდოზი, სისტემური მგლურა, ბეხჩეტის დაავადება, კარცინომატოზული მენინგიტი. • მორეციდივე ქიმიური მენინგიტი შეიძლება ასოცირდებოდეს ეპიდერმოიდულ კისტასთან ან კრანოფარინგიომასთან.	• თავის კტ/მრტ-ზე შეიძლება აღინიშნოს ეპიდერმოიდული კისტა ან კრანოფარინგიომა. • თავზურგტვინის სითხის ციტოლოგიით შეიძლება გამოვლინდეს ავთვისებიანი უჯრედები; სითხეში ანგიოტენზინგარდამქმნელი ფერმენტი მომატებულია სარკოიდოზის დროს. • აუტოანტისხეულები, რათა შესწავლილი იქნას სისტემური გამოვლინებები.

მიდგომა

მკურნალობის მიზანია ინფექციის ნიშნების და სიმპტომების აღაგება და თავზურგტვინის სითხის სტერილიზაცია. ყველა სოკოვანი მენინგიტი არ არის განკურნებადი; კოქსიდიოიდური მენინგიტი საჭიროებს მკურნალობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.[70] მკურნალობაში წამყვანია აგრესიული თერაპია სოკოს სანინალმდეგო პრეპარატებით.

აივ-დადებით პაციენტებში, რომლებიც უკვე მკურნალობენ ანტირეტროვირუსული თერაპიით, უნდა გვახსოვდეს იმუნური რეკონსტიტუციის ანთებითი სინდრომის რისკი.

კრიპტოკოკული მენინგიტი

ორივე აივ- და არა-აივ-ასოცირებული ინფექციის დროს რეკომენდებულია საწყისი ინდუქციური კომბინირებული თერაპია ამფოტერეცინი B-თი და ფლუციტოზინით.[68] აივ-ით დაავადებულთათვის სასურველი რეჟიმი 2-კვირიანი ინტრავენური ლიპოსომური ამფოტერეცინი-B პლუს პერორალური ფლუციტოზინი.[68] ამფოტერეცინი-B დეოქსიქოლატის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ალტერნატიული ფორმულაცია, თუ თირკმელების დისფუნქციის რისკი დაბალია ან თუ ღირებულება ხელის შემშლელია.

აივ-ით დაავადებული პაციენტებისთვის, განსაკუთრებით რესურსებით შეზღუდული გარემოში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციას უწევს ინდუქციურ რეჟიმს, რომელიც შედგება ლიპოსომური ამფოტერეცინი-B-ის ერთჯერადი მაღალი დოზისგან, 14-დღიან ფლუციტოზინთან და ფლუკონაზოლთან ერთად.[67] სადაც ლიპოსომური ამფოტერეცინი-B არ არის ხელმისაწვდომი, ჯანმო რეკომენდაციას უწევს ამფოტერეცინი-B დეოქსიქოლატის და ფლუციტოზინის 1-კვირიან კურსს, რასაც მოჰყვება ფლუკონაზოლი 1 კვირის განმავლობაში.[67]

ალტერნატიული ინდუქციური რეჟიმები

გაიდლაინებით რეკომენდებულია ინტრავენური ან პერორალური ფლუკონაზოლი 2 კვირის განმავლობაში პლუს პერორალური ფლუციტოზინი, ინტრავენური ამფოტერეცინი-B დეოქსიქოლატი 2 კვირის განმავლობაში პლიუს პერორალური ან ინტრავენური ფლუკონაზოლი ან ლიპოსომური ამფოტერეცინი 2 კვირის პლიუს ფლუკონაზოლი ორი კვირის განმავლობაში.[67] [68] აშშ-ის გაიდლაინებში შეტანილი სხვა ვარიანტებია ამფოტერეცინი-B ლიპიდური კომპლექსი პლუს ფლუციტოზინი; მხოლოდ ლიპოსომური ამფოტერეცინი-B; მხოლოდ ამფოტერეცინი-B დეოქსიქოლატი; ლიპოსომური ამფოტერეცინი-B პლუს ფლუციტოზინი, რასაც მოჰყვება ფლუკონაზოლი; და მხოლოდ ფლუკონაზოლი.[68]

ამფოტერეცინი-B-ის ლიპიდური ფორმულაციები შეიძლება სასურველი იყოს პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ კლინიკურად მნიშვნელოვანი თირკმლის დისფუნქცია ან მისი განვითარების რისკი.[68] [93] ამფოტერეცინი-B-ს და ფლუციტოზინის კომბინაცია, ცალკე ამფოტერეცინი-B-სთან შედარებით, კრიპტოკოკული მენინგიტის შემდგომი გადარჩენადობის უფრო მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. თუმცა გადარჩენადობის გაუმჯობესება არ გამოვლენილა ამფოტერეცინი-B-სა და ფლუკონაზოლის კომბინაციის დროს.[94] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებში აღნიშნულია, რომ ფლუციტოზინის შემცველი რეჟიმები უპირატესია და უნდა გამოიყენებოდეს, სადაც შესაძლებელია.[67]

კონსოლიდაციური და შემანარჩუნებელი თერაპია

რეკომენდებულია ფლუკონაზოლი.[67] [68] ნაკლებად ტოქსიკური პერორალური თერაპია ხელს უწყობს განგრძობად მკურნალობას და რეციდივის პრევენციას, ამასთან, ამფოტერიცინ-B-ის დოზადამოკიდებული ტოქსიკურობის მინიმუმამდე შემცირებას.

მკურნალობის ოპტიმალური კონსოლიდაციური ფაზა არის პერორული ფლუკონაზოლის 8 კვირიანი კურსი.[67] [68] ამ მიდგომის მთვარი მიზანი ინფექციის სწრაფი კონტროლია ყველაზე ფუნგოციდური სქემით, რასაც მოჰყვება ნაკლებად ტოქსიკური პერორული თერაპია მკურნალობის გასაგრძელებლად და რეციდივის პრევენციისთვის, ასევე ამფოტერიცინ-B-ს დოზა-დამოკიდებული ტოქსიკურობის შემცირების მიზნით ოპტიმალური კონსოლიდაციური მკურნალობის ფაზა გულისხმობს პერორული ფლუკონაზოლის 8 კვირიან კურსს.[67] [68]

აივ-თან ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის მქონე პაციენტებში შემანარჩუნებელი თერაპია უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 1 წლის განმავლობაში. მკურნალობა შეიძლება შეწყდეს, როდესაც პაციენტის CD4 უჯრედების რაოდენობა იქნება 100 უჯრედი/მიკროლიტრი ან მეტი და ვირუსის რნმ შეუმჩნეველი იქნება ანტირეტროვირუსული თერაპიის ფონზე.[68] შემანარჩუნებელი თერაპიისთვის ფლუკონაზოლი უკეთესია, ვიდრე იტრაკონაზოლი.[95] [96] ჭერჯერობით არ არის ნათელი არა-აივ-ასოცირებული კრიპტოკოკური მენინგიტის მქონე პაციენტებმა რა დროის განმავლობაში უნდა მიიღონ შემანარჩუნებელი თერაპია. მონაცემების არარსებობისას სოკოს საწინააღმდეგო მკურნალობაზე პასუხისა და იმუნოსუპრესიის შექცევადობის მიხედვით პაციენტების უმეტესობა იღებს ფლუკონაზოლს 6-დან 12 თვემდე. ზოგიერთ რეგიონში აღწერილია ფლუკონაზოლის მიმართ რეზისტენტული *Cryptococcus neoformans*.[97] [98]

იმუნური რეკონსტიტუციის ანთებითი სინდრომი

აივ-ინფიცირებულებში ყოველი 8 პაციენტიდან ერთში კრიპტოკოკური მენინგიტის მკურნალობა რთულდება იმუნური რეკონსტიტუციის ანთებითი სინდრომით.[19] აივ-დადებით პაციენტებში ანტირეტროვირუსული თერაპიის დაუყოვნებლივ დაწყება რეკომენდებული არ არის, რადგან სიკვდილობის რისკი მაღალია (სავარაუდოდ გამოწვეულია იმუნური რეკონსტიტუციის ანთებითი სინდრომით).[99] [100]

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და აშშ გაიდლაინების მიერ რეკომენდებულია, რომ ანტირეტროვირუსული მკურნალობა დაიწყოს სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით საწყისი მკურნალობიდან 4-6 კვირაში.[67] [68]

თავზურგტვინის სითხეში გაზრდილი წნევის მართვა

მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ართულებს აივ-ასოცირებული მენინგიტის შემთხვევების 80%-ს.[67] ინტრაკრანიალური წნევის მატება, აგრესიული რეაგირების გარეშე არახელსაყრელი პროგნოზით ხასიათდება.[101]

გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს თავზურგტვინის სითხის თერაპიულ დრენაჟს, თუ თავზურგტვინის სითხის "გახსნის" (წნევა პუნქციისთანავე, სითხის გამოღებამდე) წნევა აღემატება 25 სმ H₂O-ს.[102] მიზანია თავზურგტვინის სითხის "დახურვის" წნევის (სითხის გამოღების შემდგომი წნევა) 20 სმ H₂O-ზე ნაკლებ მაჩვენებლამდე ან "გახსნის" წნევის (წნევა პუნქციისთანავე, სითხის გამოღებამდე) 50%-მდე შემცირება სერიული ყოველდღიური ლუმბური პუნქციით, რომლის დროსაც მოხდება დიდი მოცულობით სითხის გამოღება (30 მლ-მდე დღეში). თუ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩატარებული სერიული ლუმბური პუნქციით ვერ გაკონტროლდა მომატებული ინტრაკრანიალური წნევა, უნდა ვიფიქროთ დროებით ლუმბურ დრენაჟზე ან ვენტრიკულოპერიტონეულ შუნტზე.[103] მედიკამენტური მიდგომა, რომელიც მოიცავს კორტიკოსტეროიდების, აცეტაზოლამიდის ან მანიტოლის გამოყენებას, არ არის რეკომენდებული.

ჰისტოპლაზმური მენინგიტი

შეიძლება განვითარდეს, როგორც იზოლირებული დაავადება ან როგორც პროგრესული დისემინირებული ჰისტოპლაზმოზის ერთ-ერთი გამოვლინება. მკურნალობისადმი აგრესიული მიდგომა გამართლებულია ჰისტოპლაზმოზის სხვა ფორმებთან შედარებით თერაპიაზე ცუდი პასუხის გამო.

ლიპოსომური ამფოტერიცინი B ეძლევა 4-6 კვირით, შემდეგ მკურნალობა გრძელდება იტრაკონაზოლით მინიმუმ 1 წლით და თბილ სითხის ცვლილებების გამოსწორებამდე.[68] იტრაკონაზოლის აუტანლობის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოთ პოზაკონაზოლი, ვორიკონაზოლი ან ფლუკონაზოლი.

აივ-ინფიცირებულ პაციენტებში პროგრესული დისემინირებული ჰისტოპლაზმოზის დროს ლიპოსომური ამფოტერიცინი B უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ამფოტერიცინი B-ს დეოქსიქოლატის კომბინაცია და თავის ტვინის ქსოვილში აღწევს უფრო მაღალ კონცენტრაციას, ვიდრე ამფოტერიცინი B-ს ლიპიდური კომპლექსი.[104] [105] კომბინირებული სოკოს საწინააღმდეგო თერაპია არ არის რეკომენდებული. ამჟამად მტკიცებულება არასაკმარისია აზოლური სოკოს საწინააღმდეგო თერაპიის მხარდასაჭერად ცენტრალური ნერვული სისტემის ჰისტოპლაზმოზის სამკურნალოდ.

აივ-ინფიცირებულ პაციენტებში იტრაკონაზოლის უსაფრთხოდ შეწყვეტა შეიძლება მინიმუმ 1 წლის შემდეგ, თუ:[68]

- აივ-ის ვირუსული დატვირთვა არ არის იდენტიფიცირებადი
- CD4 უჯრედების რაოდენობა არის 150 უჯრედი/მიკროლიტრზე მეტი სულ მცირე 6 თვის განმავლობაში ანტირეტროვირუსული მკურნალობის პასუხად
- სისხლის კულტურა სოკოზე უარყოფითია და
- შრატის ან შარდის Histoplasma-ს ანტიგენი რაოდენობრივი ანალიზის შესაძლებლობის დონის ქვემოთ.

იტრაკონაზოლის დონე, ჩვეულებრივ, კონტროლდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს წამლის ადეკვატური აბსორბცია და შეფასდეს ეფექტურობა. დაბალი კონცენტრაცია შეიძლება მიუთითებდეს დოზის მომატების საჭიროებაზე, თხიერ ფორმაზე გადასვლის აუცილებლობაზე ან ალტერნატიული აზოლის დანიშვნის საჭიროებაზე.[27]

კოკციდიოიდური მენინგიტი

ფლუკონაზოლი, ჩვეულებრივ, გამოიყენება პირველი რიგის თერაპიისთვის.[68] [106] იტრაკონაზოლი მისაღები ალტერნატივაა.[68] პოზაკონაზოლი და ვორიკონაზოლი ალტერნატიული პერორული საშუალებებია პაციენტებისათვის, რომლებიც ვერ მოიხმარენ ან არ პასუხობენ ფლუკონაზოლს ან იტრაკონაზოლს.[68] [107] [108] [109] ზოგიერთი ექსპერტი იყენებს დამატებით ინტრათეკურ ამფოტერიცინ-B-ს, იმ აზრით, რომ ეს იწვევს უფრო სწრაფ პასუხს (უნდა გამოიყენებოდეს სპეციალისტთან შეთანხმებით).[68]

პაციენტებს, რომლებიც არ პასუხობენ აზოლურ თერაპიას, შეიძლება ჩაუტარდეთ მკურნალობა ინტრათეკური ამფოტერიცინი B-თი, აზოლური თერაპიით ან მის გარეშე.[68] შიდროცეფალიის დროს ჩვეულებრივ საჭიროა ვენტრიკულური შუნტის ჩადგმა.

კოკციდიოიდური მენინგიტის განკურნება ამჟამად შეუძლებელია საჭიროებს უწყვეტ მკურნალობას სიცოცხლის განმავლობაში.[68]

კანდიდური მენინგიტი:

კანდიდურ მენინგიტთან ასოცირებული მაღალი ავადობა და სიკვდილობა მოითხოვს აგრესიულ თერაპიას. ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოება რეკომენდაციას იძლევა საწყისი მკურნალობა დაწყებულ იქნას ამფოტერიცინი B-ს დეოქსიქოლატისა და ფლუკონაზოლის კომბინაციით.[71] ლიპოსომური ამფოტერიცინი B შეიძლება გამოყენებული იყოს თირკმელების ფუნქციის დარღვევის შემთხვევაში. ფლუციტოზინი კარგად გადაკვეთს ჰემატოენცეფალურ ბარიერს და აღწევს მაღალ კონცენტრაციას თბტ სითხეში.

